26/01/2020

ბათუმში ეკლესია გაქურდეს



ბათუმში ეკლესია გაქურდეს. ბესიკისა და ლუკა ასათიანის ქუჩების კვეთაში მდებარე მირქმის სახელობის ტაძრიდან მძარცველებმა თანხა და თაფლი წაიღეს.

მათ ტაძრის ფანჯრები გატეხეს და შენობაში ისე შეაღწიეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.

— 1tv.ge